განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: კოლინ რებანი, ემერიტუს პროფესორი, დერბის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო

თანა-თავმჯდომარე: კრის სტივენსი, ემერიტუს პროფესორი, საუსჰემპტონის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო

წევრები:

ქეთევან აფთარაშვილი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ტალიაშვილი: საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტი, საქართველო

ირაკლი გაგუა: გაგუას კლინიკა, საქართველო

ანა მიხელიძე: პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, საქართველო

თბილისი
2018

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი 2002 წელს დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ამჟამად მას ოთხი სკოლა აქვს (სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და მედიცინის). 32 აკრედიტებულ პროგრამას შორის (მათ შორის 18 საბაკალავრო და 11 სამაგისტრო), ამჟამად უნივერსიტეტი მხოლოდ 15-ს სთავაზობს სტუდენტებს.

უნივერსიტეტს ჰყავს 882 მოქმედი სტუდენტი საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებზე. 365 მოქმედი საერთაშორისო სტუდენტი. დაწესებულებაში დასაქმებულია 308 ადამიანი, მათგან 264 აკადემიური, სამეცნიერო ან მოწვეული პერსონალია, ხოლო 44 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

50% აკადემიური პერსონალისა აფილირებულია ღია სასწავლო უნივერსიტეტში.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიიღო 2018 წლის 01 ივნისს, ხოლო 6 წევრისგან შემდგარი ექსპერტთა ჯგუფი დაინიშნა 2018 წლის 4 სექტემბერს. ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 9-11 ოქტომბერს, რომლის დროსაც ჯგუფმა ჩაატარა 21 შეხვედრა პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა უნივერსიტეტის საკლასო ოთახები და სხვა დაწესებულებები, მათ შორის ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები. ექსპერტთა ჯგუფის ორმა წევრმა ასევე მოინახულა ერთ-ერთი დაწესებულება, რომელსაც სამომავლოდ კლინიკური განთავსებისთვის გამოიყენებენ.

ამ მიმოხილვის შესრულებისას, ექსპერტთა ჯგუფს გააზრებული ჰქონდა ის ფაქტი, რომ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (TOU), ცოტა ხნის წინ გადავიდა ახალ კამპუსში და, რომ იგი მიზნად ისახავს გაფართოებას და გამრავალფეროვნებას, უფრო მნიშვნელოვნად სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების სფეროებზე გადასვლით.

რეკომენდაციები

- უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს იმ ადმინისტრაციული დეპარტამენტების მდგრადობა და კრიტიკული ნიშა, რომლებიც გადამწყვეტია დაწესებულების მუშაობისთვის.

- გადახედეთ უნივერსიტეტის დამოკიდებულებას ხარისხის უზრუნველყოფისადმი (განსაკუთრებით კი მისი სანდოობა კვლევის მეთოდებზე), ასევე ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში არსებული დაწესებულებების მიერ მიღებული მიდგომების სპექტრს. უნივერსიტეტმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურში მომუშავე პერსონალი ფლობდეს იმ უნარებს, რომელიც საჭიროა კითხვარების შესადგენად და მათი ადმინისტრირებისთვის.

ასევე უზრუნველყოს, რომ შექმნას სათანადო პირობები პერსონალისა და სტუდენტებისთვის, რათა წვლილი შეიტანონ კითხვარების შედგენასა და გამოკითხვის შედეგების ანალიზში.

- უზრუნველყავით, რომ პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა პროგრამების გადახედვისას მხარდაჭერილი იყოს ინსტრუქციებისა და მიმართულების მიცემით.

- პროგრამების გაუქმების გადაწყვეტილებების მიღების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, უკუკავშირი კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების შესახებ გამოკითხვის შედეგები, კონსულტაციები პროფესიონალურ ასოციაციებთან და ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები.

- მედიცინასა და სტომატოლოგიაში პროგრამის მახასიათებლები და სწავლის შედეგები უნდა იყოს განახლებული და სრულყოფილი.

- უნდა მოხდეს პერსონალის განვითარება ინტეგრირებულ სწავლების, პორტფოლიოებისა და ახალ კლინიკურ შეფასებების მიმართულებით.

- უზრუნველყავით, რომ სხვადასხვა, სათანადო სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებია მორგებული პროგრამებზე ისე, რომ სწავლების პროცესსა და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ნაწილში მოხდეს სტუდენტების მონიტორინგი და მხარდაჭერა, და რომ ისწავლებოდეს და ფასდებოდეს ყველა წინასწარგანზრახული სწავლის შედეგი.

- შეიმუშავეთ მკაფიო და გამჭვირვალე შეთანხმებები პერსონალის დასაქმებისთვის, დარწმუნდით, რომ ყველა თანამშრომელი აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და, რომ მათი დანიშვნა ხდება კონკურენტული პროცესის საფუძველზე.

- შეიმუშავეთ შეფასების, ანაზღაურების/წახალისებისა და პერსონალის განვითარების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც დასაქმებულის მუშაობის შეფასებას დაეყრდნობა.

- აკადემიურ, აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან შეთანხმებით, დააზუსტეთ სამუშაო დატვირთვის სქემა, სადაც მითითებული იქნება პერსონალის მართვის წესში ჩამოთვლილი სხვადასხვა აქტივობებისთვის განკუთვნილი საათები, ამასთან გაითვალისწინეთ პერსონალის სახელშეკრულებო ვალდებულებანი და პროგრამის მოთხოვნები.

- უზრუნველყავით, რომ უნივერსიტეტის რეგულაციები, მათ შორის ისინიც, რომელიც ეხება სწავლის საფასურის გადახდას, თანასწორად ვრცელდება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებზე.

- მიიღეთ ნებისმიერი საჭირო ზომა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყავით, რომ ნაშრომების შეფასება იქნება მკაცრი, გამჭვირვალე და სამართლიანი.

- გაზარდეთ პერსონალის გამოცემების რაოდენობა საერთაშორისო და უცხოენოვან ჟურნალებში.

- შეიმუშავეთ გამჭვირვალე პროცედურები მკაფიო კრიტერიუმებით პროექტების შესარჩევად და სხვა სამეცნიერო აქტივობების დაფინანსებისთვის.

- გააძლიერეთ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ევროპის უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებზე მოლაპარაკებების წარმოებით, ასევე უცხოელი პერსონალის მოზიდვისთვის მუშა სტრატეგიის შემუშავებით და უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფით.

- უფრო მეტად წაახალისეთ სტუდენტები, რომ ჩაერთონ კვლევით პროექტებში.

- უზრუნველყავით პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისთვის უნივერსიტეტის სისტემის სრულყოფილი განხორციელება და მხედველობაში მიიღეთ, რომ ეს ჩართულობა საფუძვლად დაედოს პერსონალის განვითარების შესაძლებლობას. აფილირებული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებასთან მიმართებით, უნივერსიტეტმა ასევე უნდა განიხილოს მათი კვლევაში ჩართულობა, როგორც შრომის ანაზღაურების ფაქტორი.

- სამეცნიერო კვლევით ცენტრის ეფექტურობას გაუწიეთ მონიტორინგი.

რჩევები

- მოიპოვეთ ფინანსური დახმარება, ევროპულ დაწესებულებებთან გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით.

- გააკონტროლეთ კლინიკური ობიექტების ათვისება და მათი მდგრადობა.

- უზრუნველყავით, რომ ბიბლიოთეკის პერსონალი ადეკვატურად იყოს მომზადებული საერთაშორისო სტუდენტების მხარდასაჭერად.

- განიხილეთ ფინანსების გადანაწილება (როგორც ეს სტრატეგიული განვითარების გეგმაშია მითითებული) პროგრამებისა და სკოლების საჭიროებათა შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკები

- უნივერსიტეტის გეგმა ახალი სამედიცინო სკოლის დაარსების შესახებ, პროგრამის განვითარების გუნდების ლიდერობის უნარი და ძალისხმევა, რესურსების გადანაწილების მაღალი დონე ხარისხისა და და სტანდარტების უზრუნველსაყოფად მედიცინისა და სტომატოლოგიის ახალი პროგრამებისთვის.

- სწავლის შედეგების ცხრილი ქართულ სამედიცინო სტანდარტებთან მიმართებაში.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**	**არ არის შესაბამისობაში**
1.	**უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**	X	☐	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	X			
1.2	სტრატეგიული განვითარება	X			
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**		X		
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		X		
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები		X		
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	X			
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**		X		
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება		X		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი		X		
3.3	სწავლის შედეგების შეფასება		X		
4	**უსდ-ის პერსონალი**		X		
4.1	პერსონალის მართვა			X	
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა		X		
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	X			
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები		X		
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	X			
6	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**		X		
6.1	კვლევითი საქმიანობა		X		
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია		X		
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება			X	
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	X			
7.1	მატერიალური რესურსები	X			
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	X			
7.3	საინფორმაციო რესურსები	X			
7.4	ფინანსური რესურსები	X			

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. კოლინ რებანი (თავმჯდომარე)
2. ქრის სტეფენსი (თანათავმჯდომარე)
3. ქეთი აფთარაშვილი
4. ნინო ტალიაშვილი
5. ირაკლი გაგუა (დამსაქმებელი)
6. ანა მიხელიძე (სტუდენტი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და ფართო საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა, სამეცნიერო კვლევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნითა და პრაქტიკული უნარების განვითარებით სტუდენტებს მისცეს საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამისი განათლება. მისიაში ასევე ნათქვამია, რომ „უნივერსიტეტში მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის შექმნით, ხელი შეუწყოს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მქონე პიროვნების ფორმირებას“. ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი იყო, რომ უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად მონაწილეობდნენ მისიის განაცხადის შემუშავებაში. ამ პროცესის დასრულების შემდეგ (2018 წლის იანვარში), მისია დაამტკიცა წარმომადგენლობითმა და აკადემიურმა სენატმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • სტრატეგია 2018-2024წწ. • შეხვედრები პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან,
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
o უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო გეგმები (3-წლიანი).

- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მომავალი 6 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის მუშაობის სახელმძღვანელოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია ოთხი მიზანი. ესენია, ორგანიზაციული განვითარება, რაც უზრუნველყოფს განათლებისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხს და სტუდენტზე ორიენტირებული აქტივობებისა და სერვისების განვითარებას. ორგანიზაციული განვითარების მიზანი მოიცავს ქმედებას ორგანიზაციული პროცესების ეფექტიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებისთვის, ასევე ადმინისტრაციული რესურსების განვითარებას, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. უნივერსიტეტს ასევე აქვს სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის, რომელიც ეხება ოთხივე მიზანს და მათ შესაბამის ამოცანებს და, რომელიც აკონკრეტებს მაჩვენებლებსა და დროის მონაკვეთებს თითოეული ამოცანის შესასრულებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ უნივერსიტეტმა სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა საავტორიზაციო მოთხოვნების შესაბამისად და რომ, ამ მიზეზით, აღნიშნული გეგმა არ გამოარჩევს ღია სასწავლო უნივერსიტეტს სხვა ქართული უსდ-ებისგან. თუმცა, მაღალი თანამდებობის პერსონალთან შეხვედრებისას, ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ უნივერსიტეტს განზრახული აქვს საკუთარი თავი გაუთანაბროს საერთაშორისო დონეზე არსებულ სხვა „ღია“ უნივერსიტეტებს და რომ ღიაობის ძალისხმევა ასევე მნიშნელოვანი მახასიათებელია მისი მართვის ფილოსოფიისა და ინოვაციებისადმი მისი მიდგომის ნაწილში. ამ და სხვა კომენტარებმა მკაფიოდ გვაჩვენეს უნივერსიტეტის სამომავლო ხედვა და იმ გამოწვევების გააზრება, რომელიც მათ ელით, თუკი განახორციელებენ თავიანთ მისწრაფებებს. ცხადი იყო, რომ უნივერსიტეტი მზადაა გადალახოს ეს გამოწვევები. ეს გამოჩნდა მის მიერ ახალ კამპუსსა და ახალ სამედიცინო სკოლის შექმნაში ჩადებული მნიშნელოვანი ინვესტიციით.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და მოიპოვა მისი შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა სრული მონაწილეობა.

ღია სასწავლო უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ განვითარებაში. გარდა იმ ღონისძიებათა მრავალფეროვნებისა, რომელიც ორგანიზებულია უშუალოდ უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებითვის, რომელთა უმრავლესობაც საჯაროა, უნივერსიტეტი ასევე ინარჩუნებს ფართო და ეფექტურ დამსაქმებელთა ქსელს და სერვისების ფართო სპექტრს სთავაზობს საზოგადოებას. ეს სერვისები მოიცავს სამართლის კლინიკასა და ჩნური ენის შემსწავლელ კლასებს, რომელსაც უნივერსიტეტი მომხმარებელს სთავაზობს კონფუცის ინსტიტუტის წარმომადგენლობით.

უნივერსიტეტს აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში არსებულ ოთხ მიზანსა და მათთან დაკავშირებულ ამოცანებზე. თავად სამოქმედო გეგმა და წინა წლის წლიური ანგარიში (რომელიც ამჟამინდელ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე ადრე თარიღდება) წარმოგვიდგენენ უნივერსიტეტის მონიტორინგის პირობების ეფექტურობის მტკიცებულებას. მონიტორინგის შედეგებზე

საბოლოო დაკვირვების პასუხისმგებლობა აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს აკისრია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შეხვედრები • სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-24; • 2018-20 საქმომედო გეგმა; • ერთი წლის ანგარიში 2016-17 • სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია • დანართი N1.2, საქაღალდე N4
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
o უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და აქტივობების განხორციელებას o უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი. o უსდ-ს ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიან მართვას. o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი, მმართველი საბჭო, რექტორი, პრორექტორი და ხარისხის უზრუნველყოფისა და

სტრატეგიული განვითარების სამსახური. სასკოლო დონეზე, მართვის ორგანოებია სკოლის საბჭო და დეკანი.

რამდენადაც აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი ამჟამად ერთ ორგანოს წარმოადგენს, უნივერსიტეტი ღიას ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ მომავალში, შექმნას ორი განცალკევებული ორგანო (აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო). ექპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს გონივრული გადაწყვეტილებაა, თუკი გავითვალისწინებთ დაწესებულების ზომასა და მისი უზრუნველყოფის შეზღუდულ სპექტრს. ყველა საფეხურზე მყოფმა პერსონალმა დაადასტურა სენატის მნიშვნელობა უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაადასტურეს, რომ ეს არის ორგანო, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია სრულიად პერსონალი, მათ შორის რექტორიც. ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი იყო, რომ სენატს, სკოლის საბჭოებთან ერთად, ეფექტური წვლილი შეაქვს დაწესებულების მართვაში და, რომ არსებობს სათანადო და მკაფიო აღქმა ამ კოლეგა ორგანოებს შორის, მმართველ საბჭოსა და უნივერსიტეტის უფროს მენეჯმენტს შორის ურთიერთობისა და მათი შესაბამისი როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. და ბოლოს, დაწესებულების კოლეგიური ორგანოსთვისა და მმართველი პოზიციისთვის პერსონალის დანიშვნის და/ან შერჩევის პროცედურები გამჭვირვალეა, თანასწორი და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

თვითშეფასების ანგარიში უნივერსიტეტის მოქნილობას, მის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ განსაზღვრავს. ბოლო წლებში, TOU-მ შეძლო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილების წარმატებით განხორციელება: მათ შორის ბიზნესისა და საინჟინრო სკოლების შერწყმა, რამდენიმე ადმინისტრაციული დეპარტამენტის რეორგანიზაცია, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის შექმნა და რამდენიმე პროგრამის დახურვა. უნივერსიტეტმა ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო ახალი მედიცინის სკოლის პერსონალისა და კეთილმოწყობის კუთხით, იმ შემოსავლის განთვალისწინებით, რომელსაც იგი მოიპოვებს მას შემდეგ, რაც სტუდენტები ჩაირიცხებიან სამედიცინო და სტომატოლოგიურ პროგრამებზე. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი შეშფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ სპეციალისტთა პასუხისმგებლობების ფართო სპექტრს უმკლავდება პერსონალის ძალიან მცირე რაოდენობა აკადემიური და ადმინისტრაციული სერვისების დეპარტამენტში. შესაბამისად რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს იმ ადმინისტრაციული დეპარტამენტების მდგრადობა და კრიტიკული მასა, რომლებიც გადამწყვეტია დაწესებულების მუშაობისთვის.

TOU-ს აქვს საქმისწარმოების სათანადო რეგულაციები და მისი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ზედა რგოლის პერსონალმა იცის ის დიდი რისკები, რომლის წინაშეც დგას უნივერსიტეტი. დაწესებულებას გააჩნია ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომელიც ამ რისკების მართვას შესაძლებელს გახდის.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მოიცავს დაწესებულების მხრიდან ქმედებათა ფართო სპექტრისადმი ძალისხმევას, მათ შორის პერსონალისა და სტუდენტების გაცვლას, ერთობლივი აკადემიური პროგრამების შემუშავებას, საზაფხულო სკოლებსა და ერთობლივ კვლევებს. დოკუმენტი თავისი მასშტაბით ამომწურავია, აკონკრეტებს სამი ადმინისტრაციული დეპარტამენტის (საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთოერთობისა და აკადემიური და ადმინისტრაციული საკითების) პასუხისმგებლობებს სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებისთვის, რომლებიც ჩამოთვლილია უნივერსიტეტის პოლიტიკაში. პოლიტიკა სრულდება იმ მაჩვენებელთა სიით, რომლების გამოყენებაც უნდა მოხდეს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ქმედების ეფექტურობის შესაფასებლად.

რაც შეეხება სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლას, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი პერსონალის ქსელური „იმპორტორი“ და სტუდენტთა ქსელური „ექსპორტიორია“. მიუხედავად იმისა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპის, ჩინეთის, შეერთებული შტატებისა და კავკასიის არაერთ უნივერსიტეტთან, მისი საერთაშორისო სტუდენტების უმრავლესობა რუსეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან არიან. ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ამ სტუდენტების დიდ რაოდენობას შეუჩერდათ სტატუსი, ძირითადად სწავლის საფასურის გადახდის შესახებ რეგულაციებში შეტანილი ცვლილებების შედეგად. თუმცა, უნივერსიტეტი საერთაშორისო სტუდენტებს არაფინანსურ მხარდაჭერასაც სთავაზობს და ეს მოიცავს ენის კურსებს, საცხოვრებელი ადგილის მოძებნაში დახმარების გაწევასა და ქართულ ყოფასა და კულტურასთან შეგუებაში ხელის შეწყობას. TOU-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის პარტნიორობას ლანჟოუს უნივერსიტეტთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 2016 წლის დეკემბერში, ორმა უნივერსიტეტმა ხელი მოაწერეს განხორციელების შეთანხმებას, TOU-ს შენობებში კონფუცის საკლასო ოთახის დაარსების მიზნით. კონფუცის საკლასო ოთახს უნივერსიტეტისთვის, მისი პერსონალისა და სტუდენტებისთვის, ისევე როგორც დაწესებულების ფართო საზოგადოებისთვის, უამრავი მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. TOU-ს კონფუცის ინსტიტუტთან ასოცირებით, უნივერსიტეტს მიეცა შესაძლებლობა, რომ განავითაროს ურთიერთობები მსგავსი ასოცირების მქონე უცხოურ უნივერსიტეტებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • შეხვედრები პერსონალთან • 2018-20 საქმომედო გეგმა; • განხორციელების შეთანხმება ლანჟოუს უნივერსიტეტსა და TOU_ს შორის; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა • ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა • თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების ფორმირების რეგულაციები • აკადემიური და ადმინისტრაციული საკითხების დეპარტამენტი: წესდება
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს იმ ადმინისტრაციული დეპარტამენტების მდგრადობა და კრიტიკული ნიშა, რომლებიც გადამწყვეტია დაწესებულების მუშაობისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): უნივერსიტეტის გეგმა ახალი სამედიცინო სკოლის დაარსების შესახებ, პროგრამის განვითარების გუნდების ლიდერობის უნარი და ძალისხმევა, რესურსების გადანაწილების მაღალი დონე ხარისხისა და და სტანდარტების უზრუნველსაყოფად მედიცინისა და სტომატოლოგიის ახალი პროგრამებისთვის.

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროცედურები აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და მისი საგანმანათლებლო პროგრამების, მათი დამხმარე სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებისთვის. სტუდენტთა აკადემიური მოსწრება წლიურ მონიტორინგს ექვემდებარება და ეს ქმნის საფუძველს პროგრამის სწავლის შედეგების წელიწადში სამჯერ განხილვისთვის (ცვლილება სადაც საჭიროა). ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდეს მტკიცებულებები უნივერსიტეტის იმ ძალისხმევის შესახებ, რომელიც მისი პროგრამების განხილვის პროცესში სხვადასხვა დაწესებულებებიდან ექსპერტების ჩართულობას გულისხმობს. უნივერსიტეტის სერვისებისა და მისი მატერიალურ/ტექნიკური რესურსების ხარისხი ფასდება პერსონალისა და სტუდენტების მიერ კითხვარების შევსებით, და ამ გამოკითხვების შედეგებისა და რეკომენდაციების წარდგენით აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი სენატისადმი. პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება გამოკითხვების მეშვეობით, ამ შემთხვევაში მონაწილეობას იღებს რესპოდენტთა უფრო ფართო სპექტრი, მათ შორის დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, რომლებიც სკოლის საბჭოებთან მუშაობით მონაწილეობას იღებენ პროგრამის განვითარების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პირობები დიდად დამოკიდებულია გამოკითხვების მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზსა და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურზე. ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ აღნიშნული სამსახურის პერსონალს არ გაუვლია სპეციალური გადამზადების კურსი კვლევის მეთოდებში, და რომ გამოხმაურების კოეფიციენტი მერყეობს 30%-დან 70%მდე და რომ სამსახურის გარდა სხვა გარე პირების მონაწილეობა კითხვარების შემუშავებაში შეზღუდულია.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ინტერნაციონალიზაცია სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი ქვე-ამოცანაა. ამას თან ახლავს ის ფაქტი, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ერთ-ერთი მთავარი მიზანი და ამოცანა არის უნივერსიტეტის ინტეგრირების ხელშეწყობა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესთან. სამსახურის პერსონალის დაკომპლექტების შეზღუდვის განთვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს ჯერ არ მიეცა საშუალება შეაფასოს უნივერსიტეტის

მიდგომა ხარისხის უზრუნველყოფისადმი ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში არსებულ სხვა პრაქტიკებთან მიმართებაში.

დაახლოებით 15 სამედიცინო ობიექტი, მათ შორის ჰოსპიტალები და ზოგადი პრაქტიკები განისაზღვრა. ისინი მოინახულეს პროგრამის ხელმძღვანელმმა და ხარისხის ჯგუფმა და სამომავლო განთავსებებისთვის გაფორმდა კონტრაქტებიც. კლინიკური განთავსებისთვის, როგორც მედიცინაში ასევე სტომატოლოგიაში, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი საჭიროებს განვითარებას და ყურადღებით დაკვირვებას. ეს პროცესი უნდა მოიცავდეს სტუდენტთა უკუკავშირის კითხვარების მოხმარებასა და სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფებს ისევე, როგორც სამონიტორინგო ვიზიტებს კლინიკებში.

მიუხედავად ამ დაკვირვებებისა, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ უნივერსიტეტის მასშტაბით სარწმუნო ძალისხმევა იგრძნობა ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. ამ ძალისხმევის სიძლიერე დაადასტურეს, როგორც სტუდენტებმა ასევე კურსდამთავრებულებმა.

ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია, რომ უნივერსიტეტის შეთანხმებები სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისთვის სათანადო და ეფექტურია. დაგეგმვის პროცესი მოიცავს პერსონალის (აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული), საცხოვრებელისა და ტექნიკური რესურსების შესახებ მონაცემების შეგროვებას ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ პროგრამისა და სკოლის საბჭოების ხელმძღვანელები აქტიურად არიან ამ პროცესში ჩაბმული და, რომ სენატი წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-24;
- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრები პერსონალთან და სტუდენტებთან
- 2018-20 საქმომედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური: წესდება
- სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები
- მექანიზმები მართვის ეფექტურობის მონიტორინგისთვის
- საქაღალდე N6.

რეკომენდაციები:

გადახედეთ უნივერსიტეტის დამოკიდებულებას ხარისხის უზრუნველყოფისადმი (განსაკუთრებით კი მისი სანდოობა კვლევის მეთოდებზე), ასევე ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში არსებული დაწესებულებების მიერ მიღებული მიდგომების სპექტრს. უნივერსიტეტმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურში მომუშავე პერსონალი ფლობს იმ ექსპერტიზას, რომელიც საჭიროა კითხვარების შესადგენად და მათი ადმინისტრირებისთვის, ასევე უზრუნველყოს, რომ შექმნას სათანადო პირობები პერსონალისა და სტუდენტებისთვის, რათა მათ წვლილი შეიტანონ კითხვარების შედგენასა და გამოკითხვის შედეგების ანალიზში.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიარიზმის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი აწესებს ძირითად პრინციპებსა და ეთიკის სტანდარტებს, რომლებიც უნდა დაიცვან სტუდენტებმა და პერსონალმა. ასევე მოქმედებს ქცევის კოდექსი და ინფორმაცია უნივერსიტეტის დისიპლინარული პირობების შესახებ. პერსონალმაც და სტუდენტებმაც დაადასტურეს, რომ კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომია; პერსონალმა ასევე დაადასტურა, რომ კოდექსის გავრცელება უნივერსალურია (იგი მართავს დაწესებულების ყველა წევრის ქცევას, მათ შორის რექტორისას) და მას ზედამხედველობს სენატი.

უნივერსიტეტმა განახორციელა მექანიზმები პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციისთვის. ეთიკის კოდექსის შესაბამისი ნაწილი უზრუნველყოფს პლაგიატის განმარტებას, ინფორმაციას ციტირებისა და მითითების შესახებ, დაწესებულების პირობების განმარტებას დარღვევის აღმოჩენისა და სამართლებრივი დავის წარმოების შესახებ, პლაგიატის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში სადამსჯელო ღონისძიებებს. პროცედურები ვრცელდება, როგორც პერსონალზე, ასევე სტუდენტებზე.

უნივერსიტეტის 2018-20 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, TOU-ს მიდგომა პლაგიატის აღმოჩენისა დაპრევენციისადმი ჯერ კიდევ განხორციელების პროცესშია. მაგალითად, უნივერსიტეტს ჯერ არ შეუძენია პლაგიატის აღმოჩენისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამა, ასევე საჭიროა უწყვეტი საქმიანობა ცნობიერების ასამაღლებლად, ნაწილობრივ გადასამზადებელი მოდულის განხორციელების გზით. მართალია ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ პლაგიატის შემთხვევების კოეფიციენტი მაღალია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნაშრომების მოკლე ნიმუშების დეტალური შესწავლის საფუძველზე დასკვნა ასეთია, რომ პერსონალის მხრიდან საჭიროა მეტი სიფხიზლე, როდესაც სტუდენტის ნამუშევარს აფასებენ. (იხ. პარაგრაფი 3.3 და 6.1).

თვითშეფასების ანგარიშმა და ზედა რგოლის პერსონალმა გაამყარეს უნივერსიტეტის ძალისხმევა აკადემიური თავისუფლებისადმი და ეს დაადასტურა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრები პერსონალთან და სტუდენტებთან
- ეთიკის კოდექსი
- სტუდენტთა დისერტაციები
- 2018-20 საქმომედო გეგმა;

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტმა შეიმუშავა მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარებისთვის. ისინი განსაზღვრულია პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მმართველ რეგულაციებში. ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებმა პერსონალთან გამოავლინა, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელები, ლექტორები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და დეკანები, ყველანი ჩართული არიან შემუშავებისა და განვითარების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეიტყო, რომ პროგრამების განვითარება ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის (QASDS) მიერ კვლევისა და მონაცემთა დამუშავების გზით, ამ სამსახურის ანგარიში და რეკომენდაციები წარედგინება სენატს. ამის შემდეგ, პროგრამის გუნდს ცვლილებები შეაქვს პროგრამაში და წარუდგენს სკოლის საბჭოებსა და სენატს დასამტკიცებლად. თუმცა, პერსონალთან შეხვედრებისას, ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ არ არსებობს მკაფიო სახელმძღვანელოები საერთაშორისო პრაქტიკებისა და საკვალიფიკაციო ჩარჩოს მითითებით, პროგრამის დაგეგმვისა და თვითშეფასებისთვის. როგორც აღმოჩნდა, სანაცვლოდ, QASDS-ს გამოკითხვები ასრულებენ მთავარი ინსტრუმენტის ფუნქციას პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში. პროგრამის შეფასების პროცესში ასევე შეინიშნება გარკვეული ჩართულობა პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან, როგორც საქართველოს ფარგლებში ასევე მის საზღვრებს გარეთ. TOU-მ ცოტა ხნის წინ დახურა 17 პროგრამა 32 აკრედიტებული პროგრამიდან, ძირითადად იმის საფუძველზე, რომ აღნიშნულ პროგრამებზე პოტენციური სტუდენტების მხრიდან მოთხოვნამ იკლო. თუმცა, უფრო ფართო სპექტრის პრობლემები გამოვლინდა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვებიდან. ეს მოიცავს შეუსაბამობებს

პროგრამის ამოცანებსა და სწავლის შედეგებს შორის, არაადეკვატურ სასწავლო რესურსებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას.

თუკი პროგრამის გაუქმება იგეგმება, TOU ითვალისწინებს ამ პროგრამაზე მყოფი სტუდენტების ინტერესებს. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, მობილობის სქემით, დაამთავრონ ალტერნატიული პროგრამა და, თუკი სტუდენტს სურს განაგრძოს სწავლა სხვა დაწესებულებაში, უნივერსიტეტს შეუძლია შექმნას ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა, რადგან ხელი შეუწყოს სტუდენტის გადასვლას სხვა დაწესებულებაში. სტუდენტის მიერ გავლილი საგნების აღიარებისას, უნივერსიტეტი გამოსცემს კრედიტის შესახებ განაცხადს, რომელიც შეთანხმებულია სხვა დაწესებულებებთან.

მედიცინის სკოლა 2017 წლიდან არსებობდა, როგორც ცალკე სკოლა. უახლესი სამედიცინო პროგრამა ინგლისურ ენაზე, დამტკიცდა 2018 წლის აპრილში. მოდულების შეცვლილი განახლება უზრუნველყოფილი იყო 2018 წლის აგვისტოში. TOU იყენებს პროგრამის შედეგებს ძირითადი სამედიცინო განათლების შესახებ, ახალი ქართული კრიტერიუმების საფუძელზე, რომელიც შემუშავდა TUNING/MEDINE პროექტით, რაც შეესაბამება ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

კვლავ არის შესაძლებლობა, რომ ახალი სამედიცინო კურიკულუმი გახდეს საინტერესო და ინოვაციური, მეტად განვითარდეს უწყვეტი განათლების უნარები. მაგალითად, პროექტზე მუშაობის არჩევანის შემოტანით და აქცენტირებით ეროვნულ პრიორიტეტულ სფეროებზე, როგორებიცაა, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ხანდაზმულთა მოვლა. ახალი, 2018 წლის სამედიცინო პროგრამა ფართოდ დააკმაყოფილებს 2019 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს, მას შემდეგ, რაც პროგრამის მახასიათებლები საბოლოო სახეს მიიღებენ, თუმცა ეს ყოველივე ფურცელზეა და საჭიროებს პრაქტიკაში შემოწმებას, მაშინ, როდესაც სტუდენტები მომავალ სასწავლო წელს დაიწყებენ.

მართალია ეს სტრატეგიულ გეგმაში სრულად არ არის შეტანილი, თუმცა ღია სასწავლო უნივერსიტეტში იგეგმება ახალი კურიკულუმი. შექმნილია ძლიერი ხელმძღვანელი გუნდი, ინოვაციური იდეებითა და ცვლილების მენეჯმენტზე და პერსონალის განვითარებაზე ძლიერი აქცენტებით. მასწავლებლებს, რომელთაც ჩვენ შევხვდით, როგორც მეცნიერებს ასევე კლინიკის პერსონალს, წვლილი აქვთ შეტანილი კურიკულუმის განვითარებაში. ისინი, როგორც ჯგუფის წევრები, რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს იმისათვის, რომ განეხილათ და შეემუშავებინათ ინტეგრირებული მოდულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების დაკმაყოფილების შესახებ გამოკითხვები და ანალიზი
- აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი
- აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის ბრძანება N85 (01.08.2018)
- შეხვედრები პერსონალთან

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით, რომ პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა პროგრამების გადახედვისას მხარდაჭერილი იყოს ინსტრუქციებისა და მიმართულების მიცემით.

პროგრამების გაუქმების გადაწყვეტილებების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნები, უკუკავშირი კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების შესახებ

გამოკითხვის შედეგები, კონსულტაციები პროფესიონალურ ასოციაციებთან და ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
o პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. o ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ღია სასწავლო უნივერსიტეტი, სასწავლო პროგრამების შემუშავებისას მხედველობაში იღებს შესაბამის კანონმდებლობასა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემისს (ECTS) სახეოლმძღვანელოს. მისი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ისე, რომ ისინი თანხვედრაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დაწესებულ დონესთან. პროგრამის კომპონენტების კომბინაცია უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები განსაზღვრულია კომპეტენციის ექვს სფეროში: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები. უნივერსიტეტის პროგრამები, გარდა იმ პროგრამებისა, რომლებიც რეგულირდება (მაგ. სამართალი და მედიცინა), აერთიანებს ძირითად სპეციალობას არასავალდებულო და თავისუფალი კრედიტებით. არასავალდებულო კურსების არჩევის პროცესში დახმარების მიზნით, სტუდენტებს შეუძლიათ ინფორმაცია მოიპოვონ უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ეს სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს შექმნან ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, საკუთარ საჭიროებასა და ინტერესებზე დაყრდნობით. კურსის არჩევა ავტომატურად იბლოკება, თუკი სტუდენტი არ აკმაყოფილებს მის წინაპირობას. სისტემა ასევე ითვლის დაგროვილი კრედიტების რაოდენობას და უზრუნველყოფს სტუდენტებს არჩეული პროგრამის სილაბუსებით. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. უნივერსიტეტს შეუძლია შექმნას ინდივიდუალიზებული საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტების მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მზაობის გათვალისწინებით. როგორც ამ დასკვნის წინა ნაწილში ავხსენით, მსგავსი გარემოებები უზრუნველყოფენ სტუდენტების შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

მართალია ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამის მიმოხილვა, პროგრამის მახასიათებლები ინგლისურ ენაზე არ იყო წარმოდგენილი სტომატოლოგიის პროგრამისთვის. 2017 წლის აკრედიტაციის ანგარიშები ორივე პროგრამისთვის, ხელმისაწვდომი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის. შემდგომი აკრედიტაცია დაგეგმილია 2019 წლის თებერვალში. ექსპერტთა ჯგუფი ასევე შეხვდა დეკანს, პროგრამის დირექტორებს, ძირითად სამეცნიერო და კლინიკურ პედაგოგებსა და დამსაქმებლებს.

სამედიცინო და სტომატოლოგიურ პროგრამებზე სტუდენტების მიღება ჯერ არ დაწყებულა: იმედოვნებენ, რომ სტუდენტთა პირველი ნაკადი სწავლას 2019 წლის დასაწყისში დაიწყებს. თავდაპირველად სტუდენტები მიიღებიან ინდოეთიდან, ირანიდან და თურქეთიდან.

სტომატოლოგიის პროგრამა კარგი სტანდარტის ჩანს. სტომატოლოგიის სტუდენტები ძირითადი მეცნიერებების შესასწავლად მოიხმარენ იმავე დაწესებულებებს, ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას და სხვას, რასაც მედიცინის სტუდენტები, თუმცა მათ არ ექნებათ საერთო სამეცნიერო მოდულები. უნივერსიტეტს აქვს ძირითადს პლუს რამდენიმე ვარიანტი, სადაც სტუდენტებს სფეროების შესასწავლად აქვთ არჩევანის შესაძლებლობა. სტომატოლოგიურ ცენტრს საცდელი ლაბორატორია ექნება. სტუდენტები კლინიკაში მიდიან მეორე კურსიდან. კლინიკა შექმნილია ისე და დაკომპლექტებულია ისეთი აკადემიკოსი სტომატოლოგებით, რომ სტომატოლოგიური მომსახურება გაუწიოს გარშემო მყოფ საზოგადოებას.

პროგრამისა და მოდულის სწავლის შედეგები გათვლილია ქართულ სამედიცინო სტანდარტებთან მიმართებაში. მოქმედებს ოთხმოცზე მეტი მოდული. მოდულის აღწერები დეტალურია და მოიცავს შეფასების დეტალებს. აპრილის ვერსიაში მცირე რაოდენობით არის ინტეგრირებული ძირითადი მეცნიერებების სწავლება, თუმცა აგვისტოს ვერსია შეიცვალა და აქვს ფუნდამენტალური მოდულების მთელი რიგი, ოთხი ინტეგრირებული სისტემის მოდული ინტეგრირებული შეფასებით და სამი კლინიკური უნარების მოდული. ეს მკაფიოდ მიანიშნებს სასწავლო გეგმის მიმდინარე განვითარებასა და ცვალებადი ეროვნული სტანდარტებისადმი რეაგირებაზე. თუმცა, აგვისტოს ვერსიას არ აქვს პროგრამის მახასიათებლები და ეს უნდა შემუშავდეს, რათა განიმარტოს იმ 20 ახალი მოდულის სია, რომლებიც ცვლიან წინა მოდულებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები და მათი შემუშავების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამათა კატალოგი
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- სამაგისტრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

მედიცინასა და სტომატოლოგიაში პროგრამის მახასიათებლები და სწავლის შედეგები უნდა იყოს უახლესი და სრულყოფილი.

უნდა მოხდეს პერსონალის განვითარება ინტეგრირებული სწავლების, პორტფოლიოებისა და ახალ კლინიკური შეფასებების მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სწავლის შედეგების მეფინგი ქართულ სამედიცინო სტანდარტებთან მიმართებაში.

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

TOU-ში შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სილაბუსები შეიცავს შუალედურ შეფასებებს, დასკვნით და განმეორებით გამოცდებს და ისინი უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის მართვის სისტემის გზით, ყოველი სემესტრის დასაწყისში. აღნიშნულია, რომ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა არის ის, რომ სტუდენტს დაწესებულებასთან ფინანსური ვალი არ უნდა ჰქონდეს.

შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა გაწერილია გამოცდების ჩატარების რეგულაციებში და ეს რეგულაციები ეცნობებათ სტუდენტებს. საჩივარი იმის საფუძველზე, რომ გამოცდის პროცედურა არასწორად წარიმართა, შესაძლებელია შედგეს წერილობითი ფორმით, უშუალოდ გამოცდის დღეს. გამოცდის შედეგების გასაჩივრება, წერილობით შესაძლებელია შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში. თუკი საჩივარს მიიღებენ, სკოლის დეკანი შექმნის სულ მცირე სამ წევრიან კომიტეტს, რომელშიც შესაძლოა იყვნე სკოლის აკადემიური პერსონალის წევრები, მოწვეული სპეციალისტები ან დარგის ექსპერტები.

უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების ნიმუშების განხილვისას, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი კურსისთვის დასახელებული სწავლის შედეგები თანმიმდევრულად არ ემთხვევა შესაბამის შეფასების მეთოდებს. ასევე აღინიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის ნაშრომი უნდა შეფასდეს სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის ციტირების ტექნიკების სწორი გამოყენებით. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი ნაშრომის შემთხვევაში მთლიანი ქულა დაიწერა ბოლო კრიტერიუმის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებმა ვერ მიუთითეს ნაშრომში გამოყენებული მასალები. ამ საკითხს ეხება ანგარიშის 6.1 სექციაში მოცემული რეკომენდაციები.

ახალი ქირურგიული მოდული მოიცავს OSCE შეფასებას. თითოეულ მოდულს ახლავს აღწერა, რომელის განსაზღვრავს სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, თუმცა ახალი მოდულები აგვისტოს თვიდან საჭიროებენ სწავლის შედეგების დამოწმებას. ამჟამად მოქმედი პროგრამა ტრადიციულია პრე-კლინიკური მეცნიერების სწავლებით, რასაც მოჰყვება კლინიკაში სწავლების წლები და იგი მიემართება უფრო ინტეგრირებული სისტემებისგენ, მოდულის სტრუქტურაზე დაყრდნობით. მცირეა პაციენტთან ადრეული

კონტაქტების რიცხვი. კლინიკური შეფასება გრძელ შემთხვევებს მოიცავს (სადაც სტუდენტი განიხილავს იმ სამედიცინო შემთხვევის ასპექტებს, რომელიც გამომცდელებთან ერთად ნახა) , თუმცა მალე დამკვიდრდება ობიექტური სტრუქტურული კლინიკური გამოცდა (OSCE), შესაბამისად ყველა კანდიდატის გამოცდა ერთანირი სცენარით მოხდება. არ ჩანს პროგრამის სისტემატიური შეფასების სტრატეგია, კერძოდ კი კლინიკურ ფაზაში. ასევე, თანამედროვე კლინიკური შეფასება, როგორიცაა OSCE საჭიროებს მეტ განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი • საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები • უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; • გამოცდების ჩატარების შესახებ რეგულაცია - შედეგების შეფასების პროცედურა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: უზრუნველყავით, რომ სხვადასხვა, სათანადო სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებია მორგებული პროგრამებზე ისე, რომ სწავლების პროცესსა და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ნაწილში მოხდეს სტუდენტების მონიტორინგი და მხარდაჭერა, და რომ ისწავლებოდეს და ფასდებოდეს ყველა წინასწარგანზრახული სწავლის შედეგი.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოიცავს: პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებსა და რეგულაციებს; პერსონალის დასაქმების გამჭვირვალე და ობიექტურ პროედურებს, იმის უზრუნველყოფას რომ თანამშრომლები სათანადოდ კვალიფიციურები არიან; აფილირების წესებსა და პირობებს; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საგანმანათლებლო, კვლევით, შემოქმედებით და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ პრინციპებს; პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგიას; ანაზღაურებისა და წახალისების პრინციპებს, მუშაობის შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებით; ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირების უზრუნველყოფისთვის საჭირო პროცედურებსა და მათ ეფექტურ ჩართულობას სამუშაო პროცესში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი იყენებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების გამოკითხვას პერსონალის მართვის პროცესში. მას ასევე განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის მათი სამუშაო აღწერის, პასუხისმგებლობისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ პერსონალის კვალიფიკაციები შეესაბამება უნივერსიტეტის მოთხოვნებს.

დოკუმენტი, რომელიც ეხება ძირითადად ზემოთხსენებულ საკითხებს, არის პერსონალის მართვის წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის განკარგულებით, 2018 წლის იანვარში. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ TOU-ს არ აქვს კონკრეტული და გამჭვირვალე რეგულაციები პერსონალის დასაქმებისთვის, თუმცა არსებობს სტრატეგია უცხოელი პერსონალისა და სტუდენტების აყვანის პროცედურისთვის.

პერსონალის მართვის წესის თანახმად, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი შეირჩევა და შემდეგ ინიშნება რექტორის მიერ; მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ინიშნება. ორივე შემთხვევაში, პერსონალი საქმდება ღია კონკურსის საფუძველზე.

ადგილზე ვიზიტის დროს, უნივერსიტეტს ვთხოვეთ მოეწოდებინა დოკუმენტები მიმდინარე წელს ადმინისტრაციულ პოზიციებზე გამოქვეყნებული განაცხადების შესახებ და შემდეგ პერსონალის მართვის წესის მიღების შესახებ. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტი განსხვავდება იმ წესისგან, რომელიც წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში და ძალაში შევიდა მხოლოდ 2018 წლის 1 აგვისტოს. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ, იანვრიდან ივლისის ჩათვლით პერიოდში პერსონალის დანიშვნა ადმინისტრაციულ პოზიციებზე მათი ოფიციალური გამოცხადების გარეშე ხდებოდა.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი მთლიანად ჩართულია სკოლის საბჭოების მუშაობაში და მათ არჩეული ჰყავთ წარმომადგენლები აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატში.

პერსონალის მართვის წესის თანახმად, უფროსი პერსონალი (მათ შორის მმართველი ორგანოს პრეზიდენტი) იღებს გადაწყვეტილებას წამახალისებელი ანაზრაურების გაცემის შესახებ, პერსონალის საქმიანობის შეფასების გათვალისწინებით. თუმცა, უნივერსიტეტს არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული გამჭვირვალე კრიტერიუმები და პროცედურები პერსონალის წასახალისებლად. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პერსონალის შეფასება არ არის კავშირში წახალისების სისტემასთან. პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განკუთვნილი ღონისძიებები ასევე განიცდის მკაფიოობისა და გამჭვირვალობის ნაკლებობას.

რამდენადაც უნივერსიტეტმა განსზღვრა საკვალიფიკაციო მოთხოვნები პერსონალის სხვადასხვა კატეგორიებისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა ერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა, რომელზე დანიშნული პირიც არ ფლობს იმ გამოცდილებას, რაც ამ პოზიციაზე დანიშვნისთვისაა საჭირო. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა ერთი ერთეული - აკადემიური და ადმინისტრაციული საკითხების დეპარტამენტი - რომელიც პასუხისმგებელია სწავლის პროცესებზე, საქმის წარმოებაზე, დაარქივებაზე, იურიდიულ საკითხევზე, რეესტრსა და ადამიანურ რესურსებზე. შეშფოთებით აღინიშნა ის ფაქტი, რომ ამ დეპარტამენტს მხოლოდ ოთხი თანამშრომელი ყავს და ამ საკითხის შესაბამისი რეკომენდაცია მოცემულია წინამდებარე დასკვნის პარაგრაფში 2.1.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • პერსონალის მართვის წესი; • გასაუბრებები; • პერსონალის პირადი საქმეები; • აფილირების პირობები; • აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი; • დანიშვნის ბრძანებები; • პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგია; • უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოზიდვის სტრატეგია.
რეკომენდაციები: შეიმუშავეთ მკაფიო და გამჭვირვალე შეთანხმებები პერსონალის დასაქმებისთვის, დარწმუნდით, რომ ყველა თანამშრომელი აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და, რომ მათი დანიშვნა ხდება კონკურენტული პროცესის საფუძველზე. შეიმუშავეთ შეფასების, ანაზღაურების/წახალისებისა და პერსონალის განვითარების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც დასაქმებულის მუშაობის შეფასებას დაეყრდნობა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4,2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, და ასევე მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პერსონალის მართვის წესის თანახმად, აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა მოიცავს შემდეგს: სწავლებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მათ შორის სტუდენტების მხარდაჭერას, ხელმძღვანელობასა და შეფასებას; დამატებით აკადემიურ აქტივობას; სამეცნიერო კვლევას; და ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა კოლეგიური ორგანოების წევრობა, კლინიკის ან ლაბორატორიების მართვა, სარედაქციო სამუშაო, საჯარო ლექციები და სხვა. რამდენადაც TOU არის სასწავლო უნივერსიტეტი, არც ბევრი მოვალეობა არის ასოცირებული დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან.

აკადემიური, მოწვეული და აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის კონტრაქტები ერთი და იგივეა მათი აზღაურების კუთხით, სადაც ხელფასები ეფუძნება სალექციო საათებს. აკადემიური და აფილირებული პერსონალისთვის კი არსებობს სახელშეკრულებო მოთხოვნა, რომ განახორციელონ სამეცნიერო მუშაობა, თუმცა ეს არ აისახება მათი ხელფასის გაანგარიშებაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამან განაპირობა უნივერსიტეტის მიერ პერსონალისთვის განკუთვნილი წახალისებები, იმ მიზნით, რომ ისინი ჩართონ სამეცნიერო და კვლევით აქტივობებში.

შეხვედრების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გახდა, რომ აკადემიური და აფილირებული აკადემიური პერსონალი არ იცნობდა სამუშაო დატვირთვის სქემის ასპექტს, რომელიც შეეხება საათების გადანაწილებას საგამოცდო ნაშრომების მომზადებისა და შესწორებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ამ საქმიანობაზე დახარჯული დრო სხვადასხვაა შემთხვევების მიხედვით. თუმცა QASDS-ს პერსონალმა აღნიშნა, რომ პერსონალის რეკომენდაციები და ამჟამინდელი პრაქტიკა იყო გათვალისწინებული, მოქმედი სამუშაო დატვირთვის სქემის შემუშავებისას.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს აქვს მეთოდოლოგია განსაზღვროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტების რაოდენობასა და დაწესებულებაში მოქმედ აკადემიურ პროგრამებთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები;
- პერსონალის მართვის წესი;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის რიცხვის დაგეგმვის მეთოდოლოგია;

რეკომენდაციები:

აკადემიურ, აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან შეთანხმებით, დააზუსტეთ სამუშაო დატვირთვის სქემა, სადაც მითითებული იქნება პერსონალის მართვის წესში ჩამოთვლილი სხვადასხვა აქტივობებისთვის განკუთვნილი საათები, ამასთან გაითვალისწინეთ პერსონალის სახელშეკრულებო ვალდებულებანი და პროგრამისმოთხოვნები.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, და განათლების აღიარება, სტუდენტის უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და შეცვლის პროცედურები, განათლების აღიარება, კვალიფიკაციის მინიჭება და სტუდენტების უფლებების დაცვა სათანადოთ იმართება უნივერსიტეტის მიერ და ყოველივე ეს გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. ამ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯაროა დაშესაბამისად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. TOU-ს ასევე გაწერილი აქვს დაშვების პროცედურები უცხოელი სტუდენტებისთვის, არსებობს უნივერსიტეტში ჩარიცხვის განსაზრვრული მოთხოვნებიც. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მის რეგულაციებში აღწერილი პროცედურების ეფექტურ და დროულ განხორციელებას, შესაბამისად იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ უნივერსიტეტმა დანერგა ახალი წესი, რომელიც ეხება სწავლის საფასურის გადახდას. როგორც აგვიხსნეს, სემესტრის დასასრულს და დასკვნითი გამცოდების შემდეგ, სტუდენტებს აქვთ სამი კვირა, ამ პერიოდში მათ უნდა გადაიხადონ მომდევნო სემესტრის საფასური. ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა იწვევს მრავალი უცხოელი სტუდენტის სტატუსის შეჩერებას. თუმცა, საქართველოს მოქალაქე სტუდენტებმა ექსპერტთა ჯგუფს მოახსენეს, რომ მათ თავიანთი გადასახადი დაფარეს ახალი სემესტრის დასაწყისში. ამ მტკიცებულების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ უნივერსიტეტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის პირობები არათანაბარია. უნივერსიტეტთან გაფორმებული კონტრაქტი იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე, სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ განმარტება ან დამატებითი ინფორმაცია უნივერსიტეტთან კონტრაქტის შესახებ. სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები ასევე დაცულია უნივერსიტეტის საჩივრების პროცედურებით. სტუდენტთმა გარკვეულმა ნაწილმა დაადასტურა, რომ მათ

გამოიყენეს საჩივრების სისტემა და რომ შედეგად მიიღეს სათანადო და სამართლიანი გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მხრიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინფორმაციის საჯაროობა (ვებ-გვერდი); • გასაუბრების შედეგები; • სტუდენტის ხელშეკრულების ასლი; • მარეგულირებელი დოკუმენტები - სწავლის დროს მიღებული განათლების აღიარების წესი (ECTS კრედიტები); აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი;
რეკომენდაციები: უზრუნველყავით, რომ უნივერსიტეტის რეგულაციები, მათ შორის ისინიც, რომელიც ეხება სწავლის საფასურის გადახდას, თანასწორად ვრცელდება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებზე.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
o სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება. o უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართულობას უნივერსიტეტის დონეზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს o უსდ-ს გააჩნია დაბალი სოციალური ფენის სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, სთავაზობს მათ სათანადო მომსახურებას და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ინფორმირებული იყვნენ მათთვის ხელმისაწვდომ სერვისებზე. სტუდენტთა ინფორმირების უმთავრესი წყაროებია უნივერსიტეტის მხარდამჭერ სამსახურებში დასაქმებული პერსონალის წევრები, სასწავლო პერსონალი, ვებ-გვერდი, საინფორმაციო დაფები და ელექტრონული სისტემა აკადემიური პროცესის მართვისთვის. უნივერსიტეტს აქვს უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს პროფესიული მიმართულება და სხვა ინფორმაცია

დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ. თუმცა, ჯერ გამოკითხვები არ ჩატარებულა ცენტრის მუშაობასთან დაკავშირებით. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სასწავლო პროგრამის გარეშე აქტივობებს და, რომ პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს სტუდენტების პერსონალური, პროფესიული და აკადემიური განვითარების შესახებ. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაძლებლობებს სტუდენტთა შიდა მობილობისთვის და მათ მონაწილეობას სხვადასხვა პროექტებში. იგი ასევე უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ეცნობოდნენ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებს, რომლებიც ხელმისაწვდომია დაწესებულების გარეთ. QASDS-ს გამოკითხვამ ცხადყო მაღალი დონის კმაყოფილება იმ სტუდენტების მხრიდან, რომელთაც მიმართეს ადმინისტრაციას გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ რამდენადაც ჩინური ენის სრულყოფილად ფლობა არის მოთხოვნა ლანჟოუს უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, ამ პროგრამაში სტუდენტთა ჩართულობა დაბალია. მართალია უნივერსიტეტი მხედველობაში იღებს სტუდენტების სოციალურ ეკონომიკურ სტატუსს მათთვის მოქნილი გადახდის პირობების შექმნით, თუმცა შეჩერებული სტუდენტის სტატუსის მქონეთა რაოდენობა მაღალია მათ მიერ სწავლის საფასურის საბოლოო თარიღამდე გადახდის შეუძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინფორმაციის საჯაროობა (ვებ-გვერდი); • კარიერული მხარდაჭერის სამსახური; • კონსულტაციის წესი; • სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები; • გასაუბრების შედეგები;
რჩევები: მოიპოვეთ ფინანსური დახმარება ევროპულ დაწესებულებებთან გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი TOU სასწავლო უნივერსიტეტია და არ უზრუნველყოფს დოქტორანტურის საფეხურის პროგრამებს. თუმცა, მისიის თანახმად, იგი ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევით აქტივობებს და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი დაარსდა ამ სფეროში მუშაობის განვითარების სამართავად და ხელშესაწყობად. თვითშეფასების ანგარიშის, მისი დამხმარე დოკუმენტებისა და პერსონალთან შეხვედრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო დაესკვნა, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობა მოიცავს მონოგრაფიების, სტატიების გამოქვეყნებას, რომლებიც ძირითადად უნივერსიტეტის საკუთარ სამეცნიერო ჟურნალში ქვეყნდება, ასევე წიგნების გამოცემას, რომელიც სასწავლო პროცესში გამოიყენება. ადგილზე ვიზიტისას, უნივერსიტეტმა წარმოადგინა რამდენიმე სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომები. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წყაროები გამოყენებულია ციტირების გარეშე და ეს ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის რეგულაციებს. ნაშრომები, მიუხედავად ამისა, შეფასებული იყო სრული ქულით ციტირების ტექნიკის კრიტერიუმთან მიმართებაში, რამაც ექსპერტთა ჯგუფისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა უნივერსიტეტის მიერ ქულების დაწერისა და ხელმძღვანელთა პირობების ეფექტურობა. (ასევე იხილეთ პარაგრაფი 3.3.) მედიცინის სკოლას ამჟამად არ აქვს კვლევითი სტრატეგია და სკოლის ფარგლებში კვლევითი საქმიანობა შეზრუდულია. ექსპერტთა ჯგუფს სჯერა, რომ ამჟამინდელ გარემოებებში, სკოლას ახლა არ აქვს იმის მოცულობა ან შესაძლებლობა ჩაატაროს ძირითადი სამეცნიერო ან კლინიკური კვლევები. სკოლის სტრატეგიული პრიორიტეტი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ისე, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ 2019 წლის კრიტერიუმებს. ეს, რა თქმა უნდა იძლევა შესაძლებლობას პერსონალისთვის, რომ აღწეროს, შეაფასოს და შემდეგ გამოაქვეყნოს თავისი გამოცდილება ინტეგრირებული სამედიცინო კურიკულუმის შემუშავების ირგვლივ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • სამაგისტრო ნაშრომები; • გასაუბრებები; • შიდა რეგულაციები; • გამოცემების სია.
რეკომენდაციები: მიიღეთ ნებისმიერი საჭირო ზომა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყავით, რომ ნაშრომების შეფასება იყოს მკაცრი, გამჭვირვალე და სამართლიანი.

გაზარდეთ პერსონალის გამოცემების რაოდენობა საერთაშორისო და უცხოენოვან ჟურნალებში.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
o უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. o ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. o უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის საქმიანობას ამ დარგში; იგი ასევე პასუხისმგებელია საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაზე. უნივერსიტეტის ბიუჯეტის თანახმად, 196,063 ლარი გამოყოფილია სამეცნიერო საქმიანობისთვის 2018 წელს და ეს პროექტი უნდა გაიზარდოს 319653 ლარამდე 2019 წელში. ამ დაფინანსებისთვის კონკურსს ხელმძღვანელობს სამეცნიერო პროექტის შერჩევის რეგულაციები. ეს უზრუნველყოფს სამ-ეტაპიან პროცესს და პროექტები ფასდება ხუთი კრიტერიუმით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ზოგად პირობებში და მსგავსია ყველა სახის პროექტისთვის. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ კრიტერიუმები არასაკმარისად გამჭვირვალე იყო, რაც რთულს ხდიდა ქულების განაწილების დასაბუთებას სადაც ქულები 0-დან 30-მდეა. შესარჩევი პროცესის მესამე ეტაპზე, მონაწილეებს მოეთხოვებათ თავიანთი პროექტის წარდგენა. თუმცა, არ არსებობს პრეზენტაციის შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შენიშნა, რომ საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის დაფინანსება, ან წიგნებისა და სტატიების გამოქვეყნება, არ ქვემდებარება მკაფიო და კონკრეტულ კრიტერიუმებს. აკადემიურმა პერსონალმა ექსპერტთა ჯგუფს განუცხადა, რომ მათ ჯერ მონაწილეობა არ მიუღიათ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გაცვლით პროგრამებში. მაგისტრატურის სტუდენტებს ასევე ვკითხეთ კვლევით პროექტებში მათი მონაწილეობის შესახებ და მათ ექსპერტთა ჯგუფს უთხრეს, რომ მართალია იციან ასეთი პროექტების შესახებ, თუმცა დატვირთული გრაფიკი ხელს უშლით მონაწილეობის მიღებაში. უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა დოკუმენტური მტკიცებულება თურქეთსა და ჩინეთში მდებარე დაწესებულებებთან ერთობლივ პროექტებში მისი მონაწილეობის შესახებ. ზოგიერთი სტუდენტი ასევე ჩართული იყო ამ კვლევით პროექტებში. თუმცა უნივერსიტეტს ამჟამად არ აქვს ერთობლივი პროგრამები მის უცხოელ პარტნიორებთან. თუმცა, ნათელია, რომ TOU-ს განზრახული აქვს შეიმუშავოს ერთობლივი პროექტები

ჩინეთისა და თურქეთის უნივერსიტეტებთან, რომლებიც ორიენტირებული იქნება ბიზნესის ადმინისტრირებასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები;
- სამეცნიერო პროექტების შერჩევის წესი;
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წესდება;
- ბიუჯეტი
- მკვლევარების მოზიდვის სტრატეგია.

რეკომენდაციები:

შეიმუშავეთ გამჭვირვალე პროცედურები მკაფიო კრიტერიუმებით პროექტების შესარჩევად და სხვა სამეცნიერო აქტივობების დასაფინანსებლად.

გააძლიერეთ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ევროპის უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებზე მოლაპარაკებების წარმოებით, ასევე უცხოელი პერსონალის მოზიდვისთვის მუშა სტრატეგიის შემუშავებით და უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფით.

უფრო მეტად წაახალისეთ სტუდენტები, რომ ჩაერთონ კვლევით პროექტებში.

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს აქვს კვლევითი / შემოქმედებითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პროდუქტიულობის და აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის ხარისხის შეფასების და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ყოველი კალენდარული წლის დასასრულს, სკოლები აჯამებენ სამეცნიერო აქტივობებს, რომლებიც მათ პერსონალმა განახორციელა, ამ ინფორმაციას წარუდგენენ სამეცნიერო კვლევით ცენტრს. ამ ის შემდეგ, ცენტრი კომბინირებულ ანგარიშს (რაც მოიცავს პროდუქტიულობის სტატისტიკას) წარუდგენს აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს.

ავტორიზაციის სტანდარტი მოითხოვს დაწესებულებისგან, რეგულარულად შეაფასოს და გააანალიზოს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულობის ეფექტურობა. გარდა ამისა, შეფასების შედეგების გამოყენება უნდა მოხდეს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემედგომი განვითარებისთვის. სამეცნიერო კვლევითი ანგარიში TOU-ს სკოლებისთვის 2013 და 2017 წლების პერიოდში აღწერითი ხასიათისაა და არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნას, რომელიც ასეთი ანგარიშის შეფასებით ხასიათს გულისხმობს.

ორივე, რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები გამოიყენება პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისას და სამეცნიერო საქმე ფასდება, როგორც მაღალი ხარისხის, თუკი იგი აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების 90%-ს. უნივერსიტეტს სთხოვეს მოეწოდებინა ინფორმაცია პერსონალის ციტირების ინდექსთან დაკავშირებით (რაც ერთ-ერთი კრიტერიუმია პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისას). ეს ინფორმაცია ექსპერთა ჯგუფს არ მიუღია და როგორც ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, შეფასების შედეგები ჯერ არ გამოყენებულა კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის. კერძოდ, აღინიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულება არ ქმნიდა ფორმალურ დებულებას აფილირებული პერსონალის ანაზღაურების მიზნით, მათი სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის გათვალისწინებით. პერსონალთან დისკუსიების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაასკვნა, რომ მუშაობის შეფასების სისტემა ჯერ სრულად არ არის განხორციელებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები
- სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმები;
- ანგარიშები.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისთვის უნივერსიტეტის სისტემის სრულყოფილი განხორციელება და მხედველობაში მიიღეთ, რომ ეს ჩართულობა საფუძვლად დაედოს პერსონალის განვითარების შესაძლებლობას. აფილირებული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებასთან მიმართებით, უნივერსიტეტმა ასევე უნდა განიხილოს მათი კვლევაში ჩართულობა, როგორც შრომის ანაზღაურების ფაქტორი.

სამეცნიერო კვლევით ცენტრის ეფექტურობას გაუწიეთ მონიტორინგი.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ახლადაშენებული კამპუსი კარგად არის აღჭურვილი და დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების პირობები კარგად ორგანიზებულია. შენობას აქვს საერთო ფართები (ფოიე, რეკრეაციული სივრცეები, საკლასო ოთახები და ადმინისტრაციული ოფისები), რომლებიც უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათებით. უნივერსიტეტს აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა და გენერატორი, რომელიც მას ელექტროენერგიით ამარაგებს უშუქობის დროსაც კი. უნივერსიტეტში არის სანიტარული კვანძები და სივრცეები ჯგუფური სამუშაოსთვის. ცეცხლსაქრობები/შესაბამისი აღჭურვილობა განლაგებულია და შენობას აქვს სხვადასხვა გასასვლელი ხანძრის დროს. პერსონალისა და სტუდენტების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

კამპუსი ხელისშემწყობია შშმ სტუდენტებისთვის. ამ ეტაპზე უნივერსიტეტში არ სწავლობენ სპეციალური საჭიროების მქონე პირები.

მედიცინაში, სტუდენტთა თავდაპირველი მიღების გეგმა და სტუდენტთა რაოდენობის შემდგომი ზრდა საკმაოდ ამბიციურია და პროგრამის უზრუნველყოფის ხარისხს ფრთხილი მონიტორინგი დაჭირდება. კლინიკური ობიექტი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა, საკმაოდ ხარისხიანი აღმოჩნდა, პაციენტთა მრავალფეროვნებით. თუმცა კლინიკას (რომელსაც ამჟამად სტუდენტები ჰყავს თსუ-დან და სდასუ-დან) არ ეყოლება TOU-ს სტუდენტები შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ კარგი კლინიკური ხელმძღვანელობა იქნება უზრუნველყოფილი და გამოყოფილი იქნება სასწავლო სივრცეები სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ იქნება სხვა ჰოსპიტალები, რომლებიც შესთავაზებენ სტუდენტების განთავსებას სხვადასხვა სპეციალობებში, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგში. პირველადი სამედიცინო დახმარების სწავლება ინტეგრირებულია სასწავლო გეგმაში. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოინახულა სხვადასხვა ლაბორატორიები, უნარების ცენტრები და ბიბლიოთეკა ღია უნივერსიტეტის ახალ შენობაში. თითოეული ოფისი აკმაყოფილებს იმ პროგრამის მოთხოვნებს, რომლის დაწყებაც იგეგმება.

საერთო ჯამში, საკმარისი რაოდენობის აღჭურვილობაა უნივერსიტეტისთვის, რომ მან შეასრულოს თავისი მისია და განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა. უნივერსიტეტი დროთა განმავლობაში გაუმჯობესდა, მან მოახდინა მატერიალური რესურსების

ინვესტიცირება და იგი შემდგომშიც გეგმავს იგივეს, რათა მატერიალური და ტექნიკური რესურსები გა უთა ნ ა ბ რ ო ს თანამედროვე სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები რექტორთან, აკადემიურ საბჭოსთან, დეკანებთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან.
- დანართი N7.1, საქაღალდე 1-14

რჩევები:

გააკონტროლეთ კლინიკური ობიექტების შემენა და მათი მდგრადობა.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიბლიოთეკა კარგად არის აღჭურვილი და თანამშრომლებიც საკმარისია. მას გააჩნია წიგნების ადეკვატური არქივი, სამკითხველო დარბაზი, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეები, IT აღჭურვილობა დაკავშირებულია იტნერნეტთან. სტუდენტებს აქვთ წვდომა პრინტერებზე, ასლის გადამღებ მოწყობილობებსა და სკანერებზე. ბიბლიოთეკა და მთლიანად შენობა უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტით.

ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს სტუდენტებს, როგორც კი ისინი ჩაირიცხებიან უნივერსიტეტის ახალ სამედიცინო და სტომატოლოგიურ პროგრამებზე და მისი დაწესებულებები ხელმისაწვდომია ამჟამად უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის.

ელექტრონული მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ, რუსულ და ჩინურ ენებზე. ელექტრონული ბიბლიოთეკები და მონაცემთა ბაზები უზრუნველყოფენ წვდომას თანამედროვე გამოცემებზე, საკურსო წიგნებზე და სხვა. აღნიშნული მასალები ხელმისაწვდომია როგორც პერსონალის, ასევე სუტდენტებისთვის. ბიბლიოთეკა ღიაა კვირაში ექვსი დღე, 60 საათზე მეტხანს. ფინანსები გამოყოფილია ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარებისთვის. ტრენინგები ტარდება ყოველწლიურად როგორც სუტდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის.

მომავალში, თუკი ბიბლიოთეკის თანამშრომლებს სურთ, რომ სათანადოდ მოემსახურონ უნივერსიტეტის საერთაშორსო სტუდენტებს, დასჭირდებათ, გააუმჯობესონ ენობრივი უნარები. გარდა ამისა, ამჟამად მომუშავე 20 კომპიუტერის გაზრდა იქნება საჭირო მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი პროგრამებზე მიიღებს მეტ სტუდენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები რექტორთან, აკადემიურ საბჭოსთან, დეკანებთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან.
- ადგილზე ვიზიტი;
- დანართი N7.2, საქაღალდე 1-14

რჩევები:

უზრუნველყავით, რომ ბიბლიოთეკის პერსონალი ადეკვატურად იყოს მომზადებული საერთაშორისო სტუდენტების მხარდასაჭერად.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის IT სერვისები კარგად არის ორგანიზებული. კამპუსის სერვერი და უსადენო ინტერნეტის მომსახურება დაცულია და აქვს მუდმივი მხარდაჭერა. მოქმედებს ორი ინტერნეტ წყარო ცალ-ცალკე (სილქნეტი და მაგთი), რათა უზრუნველყოფილი იყოს უწყვეტი მომსახურება.

IT გუნდთან დისკუსიებმა აჩვენა, რომ ისინი კარგად ფლობენ ინტერნეტ უსაფრთხოების საკითხებს. კამპუსში არსებული კომპიუტერები აღჭურვილია ანტივირუსის პროგრამებით, რომლებიც მუდმივად განახლებადია. ამას გარდა, უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოებას სარეზერვო ასლების შექმნითა და შენახვით. უნივერსიტეტი ასევე იყენებს გარე

მომწოდებლებს მონაცემთა ბაზების უსაფრთხოებისთვის. IT რისკ მენეჯმენტის სტრატეგია და პრაქტიკები არის მკაფიო და შესრულებადი.

შიდა კომპიუტერული პროგრამები კარგად მუშაობს და გამოიყენება 28 ქართულ უნივერსიტეტში. იგი ხლს უწყობს ინგლისური ენის მოხმარებას საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

TOU-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელიც უმეტესად უზრუნველყოფს ინფორმაციას უნივერსიტეტის ფუნქციორიბების ყველა დარგის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები რექტორთან, აკადემიურ საბჭოსთან, დეკანებთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან.
- ვებ-გვერდი
- ადგილზე ვიზიტი
- დანართი N7.3, საქაღალდე 1-6

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.
- უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე.
- უსდ-ს ბიუჯეტი უზრუნველყოფს კონკრეტული კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის შემოსავალი იძლევა საკმარის ფინანსებს მისი განვითარებისა და საინვესტიციო საქმიანობისთვის: ფინანსური რესურსები გამოყოფილია ისე, რომ უნივერსიტეტს მისცეს საშუალება მიაღწიოს მის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებს. TOU-ს არ აქვს ვალი და მისი ფინანსური გათანაბრება მიღწეულია უნივერსიტეტში ამჟამად ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობით. თუმცა, აღნიშნულია, რომ იჯარის ხელშეკრულება საჭიროებს ქირის გადახდას უნივერსიტეტის შემოსავლის 14%-ის დონეზე. ასევე აღნიშნულია, რომ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მუდმივად მზარდი რაოდენობა

შესაძლოა ფინანსურ რისკს ქმნიდეს და, რომ უნივერსიტეტის საბიუჯეტო გეგმები შესაძლოა ოპტიმისტური იმიტომ არის, რომ ეყრდნობა საერთაშორისო სტუდენტების აყვანასა და მათ შენარჩუნებას.

უნივერსიტეტს აქვს ადეკვატური და საკმარისი ფინანსური რესურსები სამეცნიერო კვლევების უწყვეტი განმხორციელებისთვის. ადეკვატური ფინანსური რესურსები გაწერილია ბიუჯეტში სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და პოსტ-დოქტორანტი სტუდენტების აქტივობების დაფინანსებისთვის. ეს აქტივობები მოიცავს მონაწილეობას კონფერენციებში, სტატიების გამოქვეყნებას საერთაშორისო ჟურნალებში და სხვა. როგორც ზემოთ აღინიშნა (7.2), TOU გამოყოფს საჭირო დონის დაფინანსებას ბიბლიოთეკის ყოველდღიური საქმიანობისა და შემდგომი განვითარებისთვის.

რაც შეეხება უნივერსიტეტის შიდა საბიუჯეტო პროცესებს, სკოლებსა და პროგრამებს შორის ბიუჯეტის განცალკევება, გადაწყვეტილების მიღებისა და სტრატეგიის ჩათვლით, შეიძლებოდა გაცილებით გამჭვირვალე ყოფილიყო. მართალია პერსონალი მიიჩნევს, რომ ფინანსების გამოყოფა უნდა ხდებოდეს სკოლებისა და უნივერსიტეტის სხვა ერთეულების გამოვლენილი და ცვალებადი საჭიროებების საფუძველზე, შვიდ-წლიანი განვითარების გეგმა უნივერსიტეტის ფინანსებს გამოყოფს წინასწარგანსაზღვრული პროცენტული განაწილების მიხედვით.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტის ანგარეშვალდებულების პირობები ადეკვატურია. დაწესებულების გარე ფინანსურ აუდიტების კომისიები და ანგარიშები შესაბამისი ფინანრუსი განცხადებებით, საჯაროდ ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები რექტორთან, აკადემიურ საბჭოსთან, დეკანებთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან.
- დანართი N7.4, საქაღალდე 1-6

რჩევები:

ფინანსების გადანაწილება (როგორც ეს სტრატეგიული განვითარების გეგმაშია მითითებული) განიხილეთ პროგრამებისა და სკოლების საჭიროებების შესაბამისად.

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან